თამაზ გაბისონია

ქართული ტრადიციული მუსიკის გაუმჯობესებული ინტერნეტ ბაზის მოდელირების შესახებ

მოხსენება ბათუმის ხალხური და საეკლესიო მუსიკის საერთაშორისო კონფერენცია-ფესტივალზე 2023.

ჩემი მოხსენების ძირითადი მიმართულება, ესაა ქართული ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ნიმუშთა ჟანრულ-დიალექტური და მუსიკალური ენის თავისებურებების ამსახავი ციფრული მონაცემთა ბაზის კონცეფციის გაცნობა და მის შესახებ კოლეგათა მიერ გამოთქმული საგულისხმო შენიშვნების გათვალისწინება შემდგომ მუშაობაში. საქმე ისაა, რომ რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, „ქართული ტრადიციული მუსიკის სტრუქტურული ელემენტები“ ფარგლებში მიზნად დავისახეთ ქართული სიმღერა-გალობის სტრუქტურული თავისებურებების რაოდენობრივი მეთოდებით შესწავლა, რისთვისაც პირველი რიგის მიზნად მონაცემთა ბაზის შემუშავება დავსახეთ.

პროექტის საბოლოო მიზანია, იდენტიფიკაცია მოხდეს მსგავსი სტრუქტურული ერთეულებისა ქართულ სიმღერასა და საგალობელში, რაც მიგვაახლოვებს მათი მუსიკალური აზროვნების სისტემურ გააზრებასთან.

აქვე ვიტყვი, რომ ამგვარი მიმართება ჩემთვის პირველი არაა. ჯერ კიდევ 1986 წელს, სადიპლომო ნაშრომში შესრულებული მქონდა საკმაოდ შრომატევადი სამუშაო ქართული ხალხური მრავალხმიანობის სხვადასხვა ფორმათა რაოდენობრივი მონაცემების შეფარდების გამოძიების მხრივ. მაშინ არსებულ სანოტო კრებულებში დავძებნე ბურდონული, ოსტინატური, სინქრონული და კონტრასტული მრავალხმიანობის მონაკვეთები, რის გამოც ცალკე შევიმუშავე ამ ფორმათა დაფიქსირებისათვის საჭირო მეთოდები. ამ კვლევის ინიციატორი იყო ამჟამად გერმანიაში მოღვაწე სტატისტიკოსი-პროგრამისტი მიხეილ ბარადა, რომელიც იმჟამად კონსერვატორიაში მუშაობდა თავისი სტატისტიკური მეთოდის გაუმჯობესებაზე (მინიმალური ინტონაციური ფორმულების, ეგრეთწოდებული „F მოტივების“ ოპერირებით). აღნიშნულმა კვლევამ მოგვცა შედეგები, თუ რომელი დიალექტში

რა რაოდენობითაა, მაგალითად, ბურდონული მრავალხმიანობა, რომელ დიალექტში იწყებს ზედა ხმა ყველაზე ხშირად სიმღერას და ა.შ. ამ სამუშაომ ჩემს სადიპლომო ნაშრომში ოთხიდან მხოლოდ ერთი თავი დაიკავა.

არა ასეთ მასშტაბის, მაგრამ მსგავსი რაოდენობრივი მიდგომა გამოვიყენე ასევე ნაშრომებში „ქართული წირვის მელოდიური მდოელები“ და „დამწყები ხმა ქართულ ხალხურ მრავალხმიანობაში“.

ქართული ტრადიციული მუსიკის მონაცემების ციფრულ ასახვაზე საუბრისას, ცხადია, ვერ გამოვტოვებთ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2006 წელს ფოლკლორის საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის საარქივო ჩანაწერების საძიებო ბაზას, რომელშიც მეც აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი - როგორც ერთეულების განსაზღვრაში, ასევე - ბაზის ცხრილის ვიზუალის ჩამოყალიბებაში.

აღნიშნული საძიებო პროგრამა ძირითადად არქივში ცალკეული ნიმუშების მოსაძიებლად იხმარებოდა და, როგორც ჩემთვის ცნობილია, მისი მონაცემების გამოყენებით, რაიმე კონკრეტული შედეგების გამომტანი სამეცნიერო ნაშრომი არ მომზადებულა.

ცხადია, იმისთვის, რომ ხსენებული ბაზა მონაცემთა ინტერპრეტაციის მყარი საფუძველი შეიქნეს, საჭიროა მისი გამოწვლილვით შედგენა. ამ მიმართებით საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვუბრუნდებოდი აღნიშნულ თემას და ამ მხრივ ბაზის რამდენიმე ვარიანტი მოვსინჯეთ. ერთ-ერთი ბოლო მათგანი აისახა კიდეც ინტერნეტში, რომელიც მოგვიმზადა ჩვენს საგრანტო პროექტში პროგრამისტ-სტატისტიკოსად მომუშავე ერეკლე მაღრაძემ. აქვე ვიტყვი, რომ იგი აღარაა პროექტში, რა ცვლელებამაც საკმაოდ შემაფერხებელი როლი ითამაშა პროექტის განხორციელებისას.

ეს შუალედური ინტერნეტ-ბაზა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ველი აქვს და საკმაოდ დაწვრილებით ინფორმაციას გვაძლევს, საკმაოდ ხარვეზიანი აღმოჩნდა, რაც მჟღავნდებოდა როგორც მისი შევსებისას, ასევე შედეგების დათვალიერების დროსაც. კერძოდ, ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი მდგომარეობდა ნიმუშის რომელიმე მნიშვნელობის მრავალჯერადად შევსების საჭიროებაში. კერძოდ, მაგალითად, თუ მითითებული იყო ორი ასარჩევი პუნქტი - „საეკლესიო“ და „ხალხური“ და ირჩევდი „ხალხურს“ შემდეგ კვლავ ამოდიოდა ველები, რომლებიც არა ხალხურს, არამედ უკვე არარჩეულ „საეკლესიო“ ველს ეკუთვნოდა.

ასეა თუ ისე, ამჟამად ვაგრძელებთ ბაზის ახალ ვერსიაზე მუშაობას და მის ძირითად მონახაზს დღეს თქვენ წინაშე წარვადგენ.

განსხვავებით კონსერვატორიის ბაზისაგან, წინამდებარეში გათვალისწინებული გვაქვს ველების რამდენიმე საფეხურიანი, რაც ცხადია, უკვე კლასიფიკაციის მეთოდის გულდასმით გამოყენებას მოითხოვს. ამასთან ერთად, განსხვავებით ზემონახსენებ კონსერვატორიის ბაზისაგან, წინამდებარეში დიდი ყურადღება ეთმობა ქართული ტრადიციული მუსიკალური ნიმუშების მუსიკალური ენის პარამეტრებს: მელოდიას, ჰარმონიას, დრამატურგიას და ა.შ.

კლასიფიკაციის მეთოდს მრავალი ქართველი მუსიკისმცოდნე მიმართავდა. გავიხსენოთ მრავალხმიანობის ფორმათა ასლანიშვილს, ჩხიკვაძისდა იოსებ ჟორდანიასეული სქემები, ჟანრების დაყოფა ჩიჯავაძის, ჭოხონელიძის, გარაყანიძის მიერ, ასევე ე. გარაყანიძის დიალექტური კლასიფიკაცია და სხვა. ჟანრებისა და მრავალხმიანობის ფორმების თემატიკის კლასიფიცირების მცდელობები მაც მაქვს ადრეულ და გვიანდელ ნაშრომებში.

მიმაჩნია, რომ ნაშრომში, სადაც ამგვარი ინდუქციური მიდგომა რელევანტურია, სათანადო ცხრილი კვლევის არათუ სასარგებლო, არამედ აუცილებელი კომპონენტიცაა.

დიახ, შესაძლოა, ვინმესთვის კლასიფიკაციის, ტერმინოლოგიისა და ცხრილებისადმი ჩემი მისწრაფება ცინიკური გამოხმაურების საბაბს იძლეოდეს (და მე ეს ნამდვილად არ მწყინს, მეგობრებისგანაც), მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩემს რწმენას, რომ ნებისმიერ საგანზე მსჯელობისას უნდა ვიცოდეთ მისი არსი, მისგან გამომდინარე სახელი და ადგილი მოცემულ სისტემაში.

მოცემულ ბაზაში ვეცადეთ და ერთ მთლიან პლასტად წარმოვადგინეთ როგორც სიმღერა, ასევე დასაკრავი და საგალობელი.

თავდაპირველად იმის შესახებ, თუ რა მასალაზე ავიღეთ ორიენტაცია ბაზის შესდგენისას. ამ მხრივ ძირითად მასივად შევარჩიეთ სანოტო კრებულები. ჩემი აზრით, ეს სიმრავლე შედარებით ადვილად დაკვირვებადია, მეორე მხრივ კი იგი მეტ-ნაკლებად საფუძვლიანად ასახავს განსახილველი პლასტის ძირითად ჟანრულ-დიალექტურ თუ მუსიკალურ კანონზომიერებებს. ცხადია, სანოტო კრებულებზე დაკვირვების შემდეგ ბაზას შევავსებთ იმ აუდიო-ნიმუშებით, რომლებიც ნოტებში ჯერ არ ასახულა. ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაზას საბოლოო სახით გამოქვეყნებისას გათვალისწინებულია თითოეული ნიმუშის ყველასათვის ხელმისაწვდომი ვიზუალური თუ აუდიო ვერსია.

ბაზაში ველების ჩამოყალიბებისას ვეცადე არ განვმეორებულიყავი, რაც ადვილი ამოცანა არ აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, ეს ფაქტორი დღესაც ერთ-ერთი საფიქრალია ჩემთვის და ამ მიმართულებით ბაზის დახვეწას ჯერ კიდევ არ გამოვრიცხავ. ასევე ვცდილობდი გამეთვალისწინებინა მხოლოდ არჩევით ველები (რომელთაც მოსანიშნ წერტილებად აღვნიშნავთ ხოლმე) და არა ე.წ. „თოლიები“ (რა დროსაც ერთ ველში რფამდენიმე პასუხის არჩევაა შესაძლებელი). მაგრამ ფასეტების სიმრავლის გამო ეს ყოველთვის ვერ ხერხდებოდა.

ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა: რა უნდა იყოს საინტერესო კიდევ ერთი რიგითი ცხრილის განხილვისას, სადაც მოსალოდნელია, რომ უკვე ნაცნობი ცნებები შეგვხვდება, ოღონდ გარკვეული პრინციპით დალაგებული? საქმეც ისაა, რომ ბაზის წარდგენა ჩემთვის პირველხარისხოვან მიზანს არ წარმოადგენს. ამ მხრივ ერთგვარ გამოწვევად შეიძლება გამოჩნდეს სიმრავლეების დასახელებები და კრიტერიუმები, რომლითაც ეს სიმრავლეები დიფერენცირდება.

ახლა უშუალოდ ბაზაში შემავალი ველების შესახებ:

ძირითადი ფასეტები, წახნაგები, ანუ რაკურსები ბაზაში შემდეგია:

- ნიმუშის ინფორმაციული მონაცემები (სახეობა, ფორმატი, გადმომცემი,)
- სოციალური იდენტობით განპირობებული სტილისტური იერი ნიმუშისა (სტილისტური კუთვნილება, ავთენტურობა)
- ნიმუშის საშემსრულებლო რეგლამენტი (ფუნქციის ჟანრი, სოციალური რეგლამენტი, ფორმატის ჟანრი)
- მუსიკალური პატერნები (ფაზები, მელოდია, ჰარმონია, მეტრი რიტმი, ფორმა,)

როგორც ვხედავთ, აქ ოთხი ძირითადი ჯგუფია. ამ საფეხურის გათვალისწინებით კლასიფიკაცია გამოგვდის ექვსსაფეხურიანი. მაგრამ იმის გამო, რომ იგივე ინტერნეტში განთავსებისას ბაზის მოსარგებლეს საქმე არ გავურთულოთ, პირველი დონის ველებში ჩავსვით ის სიმრავლეები, რომელიც აქვე ზევით ფრჩხილებშია ჩასმული (გარდა მუსიკალური პატერნებისა) ამგვარად ზედა დონის ველები რიცხვით 10-ა.

ინფორმმაციულ მონაცემებში სახელთან ერთად მონიშნულია ველი „ქვესახელიც“, არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც სიმღერა ორი ან ზოგჯერ მეტი სათაურითაცაა ცნობილი. მაგალითად „ასე ჩონგური“ და „დიდაოი ნანა“, „ჩქიმ ტორონჯი“ და „დიდოუ ნანა“, წმინდა გიორგის ტროპარი და „ტყვეთა განმათავისუფლებელო“ და ა.შ.

ველში „სახეობა“ დაცალკევებულია სიმღერა, დასაკრავი და მათი შეპირაპირებულლი ვარიანტები, მაგალითად - სიმღერა მოძრაობით და დასაკრავით. „მოძრაობაში“ ფერხულთან და ცეკვასთან ერთად შეიძლება იგულისხმებოდეს მომლოცველობა, სიარული, რიტუალური ქმედებები. ასევე ველს „საგალობელი“ ერთვის „საგალობელი ლიტანიით“.

ველი „ფორმატი“ გულისხმობს ნიმუშის ფიქსირების სტატუსს. აქ შეიძლება ყურადღება მივაქციოთ ველს „ფრაგმენტი“, რომელსაც აღვნიშნავთ იმ შემთხვევაში, თუ ნიმუში დასრულებული სახით არაა მოცემული.

გრაფაში „გადმომცემი“ ასარჩევია ავტორის, შემსრულებლის, ჩამწერის, შემდგენლის და გამომომცემლობის ვინაობა. აქ, ცხადია, ისევე, როგორც ბაზის უმეტეს გრაფაში, გათვალისწინებულია ველი „მგ“ – „მონაცემების გარეშე“.

ველში „სტილისტური კუთვნილება“ კრიტერიუმად აღებულია სოციალური იდენტობა - დიალექტები - იგივე სოფლური, ქალაქური, საავტორო, საგალობლებში = სამგალობლო სკოლები და დიალექტური საგალობლები. აქვე მოცემულია ველი „ჰიბრიდული“, რომელიც გულისხმობს სტილისტურად სინთეზურ სტრუქტურებს და განამტკიცებს ამ ველის პრედიკატს „სტილისტური“

სტილთან მიმართებით შესაძლებელი იყო ჟანრული დიალექტის გათვალისწინება, მაგრამ ვფიქრობთ ამგვარი წარმომავლობითი ფაქტორი უფრო მკაფიო მახასიათებელია და თან ეს სიბრტყე სხვა ნიშნით ვეღარ იკრიბება.

დიალექტები მრავლადაა ჩამოთვლილი. ჩემი აზრით, ამ მიმართებით კილო-კავებისა და დიალექტების ცალკე გამოყოფა ზედმეტ ზრუნვას გამოგვიჩენდა. მსგავსი ველია ასევე „ავთენტურობისა“, ჩაშლილი შემსრულებლისა და პირობის ველად.

ავთენტურის პირობად დასახელებულია „პირდაპირი ფუნქციური“, „მოთხოვნით შესრულებადი“ და „სასცენო“. მადლობელი დაგრჩებით, თუ აქ დამატებით ველს მიმითითებთ, ან გააკრიტიკებთ. ეს თხოვნა ეხება, ცხადია, ყველა სხვა ველსაც.

რაც შეეხება „საშემსრულებლო რეგლამენტის“ კუთხით გამორჩეულ ველებს, აქ პირველ რიგში წარმოვადგენთ ე.წ. „ფუნქციის ჟანრს“, რასაც ზოგადად ჩვენ ჟანრს ვუწოდებთ. საქმე ისაა, რომ ჟანრი ორ წახნაგად მაქვს გამოყოფილი: „ფუნქციისა“ და „ფორმატისა“. პირველი მოტივაციასა და მიზანს ითვალისწინებს, ხოლო მეორე - ასე ვთქვათ, გამოხატვის რეგლამენტს.

ფუნქციის ჟანრში სასიმღერო და დასაკრავის გრაფას ვყოფ „მისადაგებულ“ და „მიუსადაგებელ“ ველებად, ხოლო საგალობლის მხრივ - „ლიტურგიკულად“ (რომელიც თავის მხრივ იყოფა „მსახურებად“ და „ჟანრებად“) და „პარალიტურგიკულად“ (ამ უკანაასკნელში ვგულისხმობთ საგალობელს, რომელიც ლიტურგიკული სივრცის გარეთ სრულდება. ასეთა სალხინო საგალობლების დიდი ნაწილი).

დავუბრუნდეთ სიმღერის ფუნქციის ჟანრს. მისადაგებულებში პუნქტებ „რელიგიურ-მაგიურ“ და საწეს-ჩვეულებოსთან“ ერთად გამოვყოფდით „მობილიზაციისას“ რაშიც პირველ რიგში ვგულისხმობთ შრომის სიმღერებს.

რაც შეეხება მიუსადაგებელ სიმღერებს, აქ საინტერესოდ მიმაჩნია დიფერენცირება არარიტუალური მოტივაციის მიხედვით, კერძოდ: შეჯიბრი, გართობა და თხრობა-სმენა. შესაბამისად გამოვყავი გრაფები „შეჯიბრებითობა“ (საჭიდაო, კაფია), „სიტყვიერების პრიორიტეტი“ და „სალაღობო“.

ამ სიმრავლეში შეიძლება ასევე უცნაურად ჩანდეს შემდეგი დასახელებები: „სასიგნალო“, „სწარფსათქმელი“, „სატრფიალო შინაარსის“, „დიდაქტიკური“, „სიტუაციური“ (ბორია ირქენს, ძლიერ სტიროდა), „ცოცხალი ტყუილი“, „იგავი“.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ცნებას „მუსიკობა“, რომელიც სრულიად გამართლებულ ალტერნატივად მიმაჩნია ადრე ჩვენთან დამკვიდრებული სიტყვისა „მუზიცირება“. ეს სიტყვა ზოგადად არათ „სალაღობოს“ სინონიმია, არამედ შეიძლება ზოგადად „მუსიკის კეთებამდე“ განზოგადდეს.

დასაკრავის საშემსრულებლო მოტივაცია შედარებით მცირერიცხოვანია: სასიგნალო, თანხლება, საცეკვაო, ოსტატობის ჩვენება, ან იგივე- საკუთარი სიამოვნებისთის დაკვრა (სალაღობო?)

გამოხატვის რეგლამენტის, ანუ ფორმატის ჟანრის მხრივ ორი ძირითადი მიმართულება გვაქვს: „პარტიები“ და „მონაცვლეობა“. პირველში მუსიკალურ ნიმუშში პარტიათა რიცხვი და რაობა იგულისხმება; ხოლო მეორეში - საშემსრულებლო შემადგენლობით განსხვავებული სტრუქტურების მონაცვლეობის რეგლამენტი. აქვეა ასევე სქესობრივი რეგლამენტიც, რომელიშიც გათვალლისწინებული გრაფა „განუპირობებელი“, რაც გულისხმობს რომელიმე ნიმუშის სქესობრივი საშემსრულებლო თავისებურების მხრივ განურჩევლობას.

მოკლედ დავახასიათებთ „მუსიკალური პატარნების“ გრაფებს: პატერნებში ვგულისხმობთ მუსიკალური სტრუქტურის ელემენტებს, განპირობებულთ სხვადსხვა მუსიკალური კომპონენტებით - მელოდიით, რიტმით, დრამატურგიით და ა.შ.

ბაზის ამ ნაწილში ყურადღებას იპყრობს ცნება „ფაზა“, რომელშიც ვგულისხმობთ ორიგინალურ, არაგანმეორებად მუსიკალურ მონაკვეთებს.

სწორედ ფაზაა ის ორიენტირი, რომლის მიხედვითაც, მონაცემთა ბაზის შევსების შემდეგ, ვაპირებთ ქართული ტრადიციული მუსიკის სხვადასხვა ნიმუშთა ცალკეული კომპონენტების შედარებას. აქ ძირითადად მელოდიური მხარე გამოდის წინა პლანზე, ასევე მნიშვნელოვანია მრავალხმიანობის ფორმები. შედარებით ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ კილოს - ბგერათრიგს. მიმაჩნია, რომ ამ მოვლენის მიმართ ქართველ მუსიკოსთა გამძაფრებული ყურადღება მნიშვნელობის მხრივ გადამეტებულია.

მთავარი მიზანი ზემონახსენები პროექტისა სწორედ მუსიკალური ენის თავისებურებების კონკრეტული პროფილის მოხაზვაა - დადგენა მუსიკალური კანონზომიერებებისა ობიექტივირებულ, რაოდენობრივ საფუძველზე.

ზოგადად ვიტყოდი, რომ ტერმინოლოგიისა და კლასიფიცირების მიმართ ეთნომუსიკოლოგიაში ცხადია, ერთგვაროვანი პოზიცია ოცნების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ დრო გადის და მოვლენები ახალი დეფინიციის გამოწვევებს გვთავაზობენ. როგორც ჩანს, ამ პროცესში ჭეშმარიტების პოვნა არ უნდა დავისახოთ მიზნად, არამედ მოვლენის არსში უკეთ გარკვევა. და სულაც არაა აუცილებელი, რომ ესა თუ ის ტერმინი სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრდეს.

დავუბრუნდები კვლავ ბაზას და მისი პროგრამული უზრუნველყოფისას გვინდა ასევე განვიხილოთ მისი წინასწარი, სქემის სახით წაარმოდგენის ვერსია, რა დროსაც შემვსები, განსახილველი ნიმუშის მიხედვით წინასწარ მონიშნავს იმ პუნქტებს, რომლებიც რელევანტურია შესავსებად. ეს, რა თქმა უნდა, დაზოგავს შევსების დროს. ხოლო ნიმუშის ნახვისას ამავე წინასწარი სქემის მიხედვით იქნება ნაჩვენები მისი მახასიათებლები კომპაქტურად, მინიმალური სქროლვის გათვალისწინებით.

ასევე, ვიტოვებ იმედს, რომ ამ ბაზის წარმატებით განხორციელებიბს შემთხვევაში მომეცემა უფლება, მასში ნაწილობრივ ჩავრთო კონსერვატორიის ფოლკლორის ქხმშ ლაბორატორიაში დღემდე მოქმედი საძიებო სისტემის მონაცემები.